

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....	9
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.....	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
8. ძირითადი საშუალებები.....	10
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
10. ფული და ფულის ექვივალენტები	11
11. გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	11
12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	11
13. მოკლევადიანი სესხები	11

შპს „საბა ტექნიკს“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	2,037,916	2,297,023
სხვა საოპერაციო შემოსავალი		644,708	156,627
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(1,281,269)	(1,321,348)
სულ შემოსავალი		1,401,355	1,132,302
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,381,776)	(1,039,497)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(536,785)	(79,005)
საოპერაციო ზარალი		(517,206)	13,800
საპროცენტო ხარჯი		(183,399)	(125,529)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(67,702)	(9,387)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(768,307)	(121,116)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(768,307)	(121,116)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს:



კონსტანტინე კიპრაშვილი
დირექტორი



შპს „საბა ტექნიკს“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	2,037,916	2,297,023
სხვა საოპერაციო შემოსავალი		644,708	156,627
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(1,281,269)	(1,321,348)
სულ შემოსავალი		1,401,355	1,132,302
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,381,776)	(1,039,497)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(536,785)	(79,005)
საოპერაციო ზარალი		(517,206)	13,800
საპროცენტო ხარჯი		(183,399)	(125,529)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(67,702)	(9,387)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(768,307)	(121,116)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(768,307)	(121,116)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 აგვისტოს:

კონსტანტინე ოქრუაშვილი
დირექტორი

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა (არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	3,205,703	3,329,276	3,220,414
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,205,703	3,329,276	3,220,414
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		35,457	11,303	14,288
საგადასახადო აქტივი		74,282	71,057	(59,147)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,309,638	721,608	421,960
ფული და ფულის ექვივალენტები	10	17,031	77,183	40,158
სულ მიმდინარე აქტივები		1,436,408	881,151	417,259
სულ აქტივები		4,642,111	4,210,427	3,637,673
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		187,172	187,172	187,172
დაუფარავი ზარალი		(817,254)	(48,947)	72,169
სულ კაპიტალი		(630,082)	138,225	259,341
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	233,381
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები	11	885,476	587,383	863,427
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		885,476	587,383	1,096,808
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,351,076	1,549,178	345,883
მოკლევადიანი სესხები	13	2,035,641	1,935,641	1,935,641
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,386,717	3,484,819	2,281,524
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,642,111	4,210,427	3,637,673

შპს „საბა ტექნიკს“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	ჯამი
1 იანვარი 2018	187,172	72,169	259,341
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(121,116)	(121,116)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2018	187,172	(48,947)	138,225
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(768,307)	(768,307)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	187,172	(817,254)	(630,082)

1. კორპორატიული ინფორმაცია

საბა ტექნიკს (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წლის 5 ნოემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400104098.

ძირითადი საქმიანობა. შპს „საბა ტექნიკსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარ მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, დიდუბის რაიონი, ქუჩა ლუბლიანა, N4, სართული 2, ბინა 3

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, 2019 წლის 9 ივლისიდან, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს საბა ინვესტი (400269044).

ინვესტიციები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია არ ფლობდა ინვესტიციებს სხვა საწარმოებში

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „საბა ტექნიკსის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი და სპეც-ტექნიკა	5-15
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-20
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2019	2018
შემოსავალი ტექნიკის იჯარიდან	1,969,653	2,248,127
შემოსავალი სასაწყობო და საოფისე ფართის იჯარიდან	48,896	48,896
სხვა შემოსავალი	19,367	-
ჯამი	2,037,916	2,297,023

6. მომსახურების გაწევისას დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(896,732)	(779,152)
რემონტის ხარჯები	(384,537)	(542,196)
ჯამი	(1,281,269)	(1,321,348)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,202,926)	(901,878)
ჯარიმების ხარჯები	(98,025)	(59,498)
საკონსულტაციო ხარჯები	(12,628)	(13,828)
ბანკის საკომისიო	(3,055)	(2,904)
საიჯარო ქირა	(2,034)	(2,569)
საგადასახადო ხარჯი	-	(20,929)
სხვა	(63,108)	(37,891)
ჯამი	(1,381,776)	(1,039,497)

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავტომობილები და სპეც-ტექნიკა	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
1 იანვარი 2018	321,672	133,952	1,355,520	2,947,656	35,465	4,794,264
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	52,274	1,037,105	-	1,089,379
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	(130,363)	(62,883)	-	(193,246)
31 დეკემბერი 2018	321,672	133,952	1,277,431	3,921,878	35,465	5,690,397
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	23,993	1,592,145	-	1,616,138
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	(551,901)	-	(551,901)
31 დეკემბერი 2019	321,672	133,952	1,301,424	4,962,122	35,465	6,754,635
ცვეთა						
1 იანვარი 2018	-	(8,372)	(656,301)	(899,831)	(9,346)	(1,573,851)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(6,698)	(268,628)	(619,788)	(6,764)	(901,878)
გასვლა	-	-	62,204	52,403	-	114,607
31 დეკემბერი 2018	-	(15,070)	(862,725)	(1,467,217)	(16,110)	(2,361,122)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(6,698)	(255,522)	(934,345)	(6,361)	(1,202,926)
გასვლა	-	-	-	15,116	-	15,116
31 დეკემბერი 2019	-	(21,767)	(1,118,248)	(2,386,446)	(22,471)	(3,548,932)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2018	321,672	125,580	699,219	2,047,824	26,119	3,220,414
31 დეკემბერი 2018	321,672	118,882	414,706	2,454,661	19,355	3,329,276
31 დეკემბერი 2019	321,672	112,185	183,176	2,575,676	12,994	3,205,703

შპს „საბა ტექნიკს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,182,930	632,441	274,894
სავაჭრო მოთხოვნები	82,104	58,164	144,603
მოკლევადიანი ავანსები	44,604	31,003	2,463
ჯამი	1,309,638	721,608	421,960

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში	17,031	3,716	183
ფული სალაროში	-	73,467	39,975
ჯამი	17,031	77,183	40,158

11. გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები

კომპანიას 2015 წლიდან ლიზინგით აქვს აღებული ძირითადი საშუალებები. სალიზინგო მომსახურებას უწევს შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია" და "თიბისი ლიზინგი".

12. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	141,011	177,510	122,592
მიღებული ავანსები	2,142,140	1,272,096	-
გადასახდელი ხელფასები	67,925	48,488	223,291
სხვა ვალდებულებები	-	51,084	-
ჯამი	2,351,076	1,549,178	345,883

13. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სესხი "საბა კონსტრაქშენისგან"	1,610,641	1,510,641	1,510,641
სესხები პარტნიორებისგან	425,000	425,000	425,000
ჯამი	2,035,641	1,935,641	1,935,641